საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

N 3214/07

3214-07-2-202009111822

11/09/2020

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის სამინისროს**

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს სახემწიფო ელექტროსისტემამ" განიხილა თქვენი მ/წ 20 აგვისტოს №7983/01 წერილი, რომელიც შეეხება „500 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ლაჯანური-წყალტუბოს" მშენებლობის და ექსპლუატაციის" გზშ-ს ანგარიშში განსახლებისა და ლიცენზიებთან/საბადოებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

- თანდართულ კორექტირებულ გზშ-ში აისახა განსახლებასთან დაკავშირებული დაზუსტებული ინფორმაცია;
- ლიცენზიების/საბადოების შეთანხმებებთან დაკავშირებით დაწყებულია ეგხ-ს ბუფერში მოხვედრილი ლიცენზიანტებისა და საბადოების იდენტიფიკაციის პროცესი, რის შემდგომაც, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, განხორციელდება ლიცენზიანტებთან, ხოლო საბადოს შემთხვევაში - სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან აღნიშნული საკითხის შეთანხმება.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიცენზიანტებთან და ასევე სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან ზემოხსენებული საკითხის შეთანხმება დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, გთხოვთ აღნიშნული საკითხის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმების ვალდებულება, განგვისაზღვროთ გარემოდაცვით გადაწყვეტილებაში, პირობის სახით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ კორექტირებულ გზშ-ს ანგარიშის პაკეტს და გთხოვთ დაიწყოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტლების მიღების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.

დანართი: კორექტირებული გზშ-ს ანგარიშის პაკეტის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები.

პატივისცემით,

უჩა უჩანეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი